

ზამა ბურჭულაძე

შექმის  
სუქნები



სულაკაურის  
ნაციონალური ბიბლიოთეკა

**ზაზა ბურჭულაძე**  
ვარდის სურნელი  
რომანი

ყდის დიზაინი **მანანა არაბული**

ყდაზე და შიგთავსში გამოყენებული შრიფტის დიზაინი:  
Black Dog Studio/REBIRTH/პროექტი „ხელახალი დაბადება“

რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი**  
გამომცემლობის რედაქტორი **ნინო გოგალაძე**  
შიგთავსის დიზაინი **ია მახათაძე**  
ტექნიკური დიზაინი **ლადო ლომსაძე**

ტექსტი © ზაზა ბურჭულაძე, 2022  
ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2022  
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი  
ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65  
ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

ISBN 978-9941-30-857-4

**Zaza Burchuladze**  
SCENT OF THE ROSE  
A novel

Text © Zaza Burchuladze, 2022  
Edition © Sulakauri Publishing, 2022  
All Rights Reserved.

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

გუშინ ერთმა კაცმა მითხრა,  
რომ ჰაერი სჭირდება ადამიანს, ჰაერი, ჰაერი!

**დოსტოევსკი**

*„დანაშაული და სასჯელი“*

განადგურეთ ხელნაწერი, მაგრამ შეინახეთ ის,  
რაც თქვენ მიანერეთ მინდვრებზე, მონყენილობისგან,  
უმწეობისგან, და თითქოს სიზმარში.

**ოსიპ მანდელშტამი**

*„ეგვიპტური მარკა“*

დადგა დღე, როცა ჩემი კანი აღდგა  
სრულად – სული კი არ აღდგა.

**ვარლამ შალამოვი**

*„ხელთათმანი ანუ კმ-2“*

ეტყობა, ადამიანი ყვიროდა.  
მაგრამ განა შეუძლია ადამიანს ასე ყვირილი?

**სუან რულფო**

*„პედრო პარამო“*

# 1.

ბავშვების ჟღერა სისასტიკეა. მაგრამ რამე ხომ უნდა ვუქნათ მათ! რაც გავიღვიძე, ეს ფრაზა თავში მიტრიალებს. უფრო სწორად, მანვე გამაღვიძა. ვერ ვიხსენებ, საიდან ამყვა. თანაც მახსოვს ბეჭდურად. ანუ თვალით და არა ყურით.

მარიკას თქმით, მე გაფანტული ეიდეტიზმი მაქვს. შენ თუ რამე გახსოვს, – მითხრა, – გახსოვს ფოტოებად. ეგაა, ეს ფოტოები ხშირად ისე დაბალი ხარისხისა არიან, – კიდევ მითხრა, – როგორც კადრები, პირველი თაობის მობილური რომ იღებდა, გახუნებული და ბუნდოვანი.

არა ვარ დარწმუნებული, რომ ეიდეტიზმი არსებობს გაფანტული, როგორც სკლეროზი. ან მე მაქვს იგი. მე თვითონ ამ სიტყვის მნიშვნელობაც კი არ ვიცოდი, სანამ ლექსიკონში არ ვნახე. ვებსტერი ასე ხსნის სიტყვა „ეიდეტიზმს“: „(ძვ. ბერძ. *ეიდოს* – ხატი, იერსახე) მეხსიერების განსაკუთრებული ნაირსახეობა, რომელსაც ახასიათებს აღქმული საგნის თუ მოვლენის დეტალური შენარჩუნება და აღდგენა. ეს ასევე შეიძლება იყოს დატვირთული ხატები და სხვა სენსორული მოდალობები (სმენითი, ტაქტილური, მოძრაობითი, ყნოსვითი, გემოსი)“. როგორც უნდა იყოს, ბავშვების ჟღერა სისასტიკეა. მაგრამ რამე ხომ უნდა ვუქნათ მათ?

ჰულაჰუპს წელით ვატრიალებ, კედლის სარკეში ველოსიპედივით ხმელ, მოღუნულ, მელოტ კაცს ვხედავ ცხვირზე სათვალით, რომლის მინებზეც ისე ეცემა განათება, რომ გუგები სულ აღარ უჩანს. ბოლო დროს ხშირად ვხედავ ამ თვალებს სხვადასხვა პრიალა ზედაპირზე, რის გამოც უცბად გამიელვებს ხოლმე, როგორმე გუგები ხომ არ ამი-ორთქლდა თვითნაშლად წერილებივით და მარტო თეთრონებით დავინწყემეთქი ყურება?

ღია ფანჯრიდან დილის სიგრილეს ყვავის ყრანტალი მოჰყვება, და

ისმის, როგორ ბუყბუყებს ტენი ბატარეის მილებში. დიდი ხანი არ არის, დილაობით ასე ვფონგლიორობ. თუმცა უკვე ისე კარგად გამომდის, მალე ეგებ აალბებული რგოლიც კი დავატრიალო. არა მარტო წელით, კისრითაც, და ჰაერშიც შევადგო ხოლმე, როგორც ცეცხლოვანი შოუს ფაკირმა.

თან მარიკამაც უკვე მაჩუქა ალუმინის რგოლი, დამწყებთათვის. დამპირდა, კარგად რომ დაეუფლები, მერე პროფესიონალურსაც გაჩუქებო, კონტურზე რვა პატრუქით. ყურადღებიანი ქალია მარიკა. ბრძენი და მშვიდი. წნევა მუდამ 50/50 აქვს. ჯერ არ ყოფილა, რამე წამომენყო და მხარში არ ამომდგომოდა. ერთხელ ვთქვი, გავიგე, ბალიშში ღრიალი სტრესს ხსნის-მეთქი და მეორე დღესვე მოხერხებული ზურგჩანთა შემიკერა, უბალიშოდ რომ აღარ გავიდე შინიდან.

აღარც გავდივარ. კობტა ზურგჩანთაა, მოხატული აბრეშუმისა, გეიშას ობს ჩამოჰგავს, ბაფთასავით შეკრულს. ბალიშში ღრიალი ფრიად კომფორტული რამეა. ჩემთვის პირდაპირ მისწრებაა. როგორც კი შემოგანვება დარდები და დაგაყრუებს ღამით აყმუვლებული სინდისი, შეგიძლია სახე უცბად შიგ ჩარგო და იღრიალო, იღრიალო, იღრიალო. რამდენიც გინდა, ყელზე ვენების დახეთქვამდე, თავბრუსხვევამდე, გულის წასვლამდე. სანამ პირში სული გიდგას, სანამ მხრები აგბალახებია, სანამ ხარ.

სწორად შერჩეული ბალიში კი, ბუმბულისა, ყოველგვარ ბგერას ისრუტავს და ინოვს, როგორც იარაღის მაყუჩი სროლის ხმას. ვინ იცის, რატომ გიცახცახებს მეტროთი მგზავრობისას მხრები ბალიშში თავჩარგულს, ხელისგულზე რომ გიდევს გადაშლილი ფსალმუნით? ეგებ ლოცულობ შენთვის მხურვალედ ან ქვითინებ ცხარე ცრემლებით სიყვარულით შემლილი? ან კვდები სიცილისგან? ან უბრალოდ ზიხარ და ყმუი. ცოტა აქვს კაცს, განა, საყმუელი? საერთოდაც, როცა სხვა არაფერი დაგრჩენია, უნდა იყმუელო. მატარებელსაც ისედაც ანჯღრევს, მინაში თუ მინაზე. ეგაა, არის შემთხვევები, არანაირი ყმუილი არ გეყოფა კაცს და რამე უფრო ქმედითი გჭირდება, ვთქვათ, ფრჩხილთა კვენეტა. საკუთარი თუ სხვისი – სულერთია.

როგორც უნდა იყოს, მარიკა ყურადღებიანი ქალია. ბოლო დროსაც ამიტომ მეძახის მოფერებით ცეცხლთან მოცეკვავებს. ასე თუ გავაგრძელებ, ეგებ თანდათან ცეცხლის ყლაპვაც ვისწავლო და აალბებული მარაობით ცეკვაც. იქამდე კი ვარ ასე, ვატრიალებ დილაობით ალუმინისას. მსუბუქი რგოლია, დამწყებთათვის. მე ვარ კიდევ აბსოლუტური დამწყები. ტლანქი და ლოქო არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ასე მოქნილი სხეული თუ მქონდა, არ ვიცოდ. არ ვიცოდი, ჩემში გიმნასტი თუ იმალებოდა.

დანტემ რატომღაც ვერგილიუსი აირჩია ჯოჯოხეთში თავის წინამძღოლადო, – ჯოჯოხეთმცოდნე შენიშნავს და კითხულობს, – სანდო მეგ-

ზურიაო კი სოფლის სიამეთა პოეტი შავეთში? როგორც ფილმებშია, მარია პირველად რომ დავინახე, უმალ მშიერი ძაღლივით ავედევენე. გულში რაღაცამ მიჩხვლიტა, თითქოს სადღაც უკვე მყავდა ნანახი. ნამდვილად არის ჩემში რაღაც ძაღლისა (ბედი? გული? ყნოსვა? სულაც ძილში ნკმუტუნი ან მოჭარბებული სიხარულისას შარდის შეუკავებლობა?), მარია კი ცარიელი ძვალი და ტყავია. ისეთი ხმელია, მარტო ძაფითაც დაახრჩობ. ძაღლი უძვლოდ კი, აბა, რა ძაღლია.

მაშინ არც მიფიქრია წინამძღოლად მის დაყენებაზე. უბრალოდ, მთელი ჩემი არსებით ვიგრძენი, რომ ჩვენ ერთი კატასტროფის ხალხი ვართ. ნუ გეშინია, – მერე მითხრა, როცა მე უკვე სველი ლეკვივით ვკანკალებდი, – ნუ გეშინია, – გამიმეორა და მე შემეშინდა, – მე შენთან ვარ. მე შენთან ვიქნები, – ჩიტივით აჟღურტულდა, – ჩავძვრეთ მთვარის კრატერებში და იქაურ წყვდიადებში მე განახებ საიდუმლოს, შენ ეგეთი არა გაქვს. ვიფრინოთ, ვიფრინოთ, მერე დავბრუნდეთ და ვიძინოთ. ლაპარაკის თავი რომ მქონოდა, მეც დავპირდებოდი რამეს, თუნდაც მშვენიერი ქალაქის აშენებას, როგორც მისი მოგონებაა უცხო მიწაზე.

## 2.

მე იოლად დამყოლი კაცი ვარ. მარიკამაც რაღაცნაირი თქმა იცის. თან სულ თვალებით გეუბნება, თითქოს შეგილოცავს. გეგონება, ასევე რომ შეხედოს, ვთქვათ, იატაკის სანმენდ ჯოხს, ისიც მაშინვე ფესვებს გაუშვებს, შეიფოთლება და აყვავილდება. თუნდაც ეს ჯოხი პლასტმასისა იყოს და არა ხისა. ამიტომ თუ მაქვს ხოლმე გრძნობა, რომ ერთხელაც გავაღებ სადარბაზოს კარს და ქუჩის ნაცვლად მთვარეზე გავალ. ან სხვა, რომელიმე ეგზოტიკურ პლანეტაზე, დიდ ყინულოვან სიცარიელეში, მთელი შენი არსებით რომ იცი, პირველივე ჩასუნთქვაზე მოკვდები, მაგრამ სანამ ცოცხალი ხარ, სანამ სუნთქვა შეკავებული გაქვს, ხედავ ვერაგ სილამაზეს შენ გარშემო და გონებაში უკანასკნელ წამებს ითვლი:

ერთი.

ორი.

სამი.

და უცბად ყველაფერი ქრება.

იქამდე კი ჰულაჰუბს ვატრიალებ, ფანჯრიდან ამაოდ ვცდილობ ამინდის გამოცნობას ბერლინური ცემენტისფერი ცის მიხედვით, სადაც თვითმფრინავის კონდენსაციური კვალი იცრიცება. ბილბორდის ქვეშ მდგარი ოპელის წინა მინაზე მეზობელს მზის ამრეკლავი ამოუკრავს შიგნიდან, როგორც თონეში ლავაში, სალონიც რომ არ ჩაიხუთოს და პანელიც არ გახუნდეს. თუმცა რა უნდა ბერლინში მზეს? მთელი თვეა ბილბორდზე რეკლამა არ შეუცვლიათ. მარტივი და ეფექტური რამეა, ცოტა უხამსიც – მოცისფრო-თეთრ ფონზე მინერალური წყლის ბოთლში წითელი ვარდი დევს. კიდეც უფრო უხამსი იქნებოდა, ვარდის ღეროსთვის ორიოდე ეკალიცა და ერთადერთი ფოთოლიც რომ დაეძროთ. ყველაზე ეფექტური თვითონ წყლის სახელწოდებაა. „უკვდავების წყალი“. პატარა გამჭვირვალე ბოთლის ყელში მწვანე ღერო დევს, ზედ კი აალებული მხუთავი აირივით გიზგიზებს ცისფერი გაშლილი გვირგვინი. ეს ხატი ბერლინში ბოლო დროს ყოველ ნაბიჯზე შეგხვდება. „წყალი“ სამ ვარიანტს გთავაზობს, ნატურალურს, მსუბუქად გაზირებულსა და გაზირებულს. მთელი თვეა, ეს რეკლამა გეჩხირება თვალში მეტროს ვაგონის ჭერში, ავტობუსის ბორტზე თუ შენივე საფოსტო ყუთში ფერადი ბუკლეტის სახით. თუმცა თვითონ წყალი ჯერ არ გამისინჯავს. ბერლინური დაბალი რუხი ცა თავზე ბეტონის ჭერივით გვადგას, რომელიც დროდადრო კიდეც უფრო დაბლდება. არის ბერლინში ადგილები, ცამ ისე დაინია, აქა-იქ ობობის ქსლებს დაინახავ ზედ ობობებით. აქ ხშირად მოკაკულმა უნდა იარო, კაფკას დაბალჭერიან შენობებში რომ დადიან მოხრილ-მოდრეკილნი. აქაური ცა წნეხივით განვება, მხრებშიც მუდამ სიმძიმეს გრძნობ, სუნთქვაც გახშირებული გაქვს. ზოგჯერ აღარ გყოფნის ფეხზე დგომის ძალა და შენც ეცემი მუხლებზე. ძალიან არ გადააჭარბებ, თუ იტყვი, ყვავ-ყორნების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარეო. პოეტმა თქვა, ჩვენ შიში გვიგზავნის სიზმრებს უმიზეზოდ დაბალი ჭერთო, მე კი არა ვარ ამაში ბოლომდე დარწმუნებული. ცა რომ არა, ეს ბეტონის ტიხარი, აქაც დაანათებდა მზე, უალტერნატივობის გამო, არაფერ ახალზე.

ღია ფანჯრიდან ვხედავ, კრელემეტრასეზე ძველი წმიდა მათეს სასაფლაოს დაბალი აგურის კედელს კედელზე დაბალი ქოსა თურქი მიუყვება თეთრ პუდელთან ერთად, გავაზე ორი პომპონით. ამ მოდელს „კონტინენტალი“ ეწოდება, საგამოფენო ვარცხნილობაა. ერთობ ნაცადი ცუგა ჩანს, სასაფლაოს კედელს პოდიუმზე შემდგარი მოდელივით მინარნარებს. წარმოსადგეგობაზეც ეტყობა, ჩემზე სოლიდური პასპორტი ექნება. მოულოდნელი დუეტია, ბერლინელ თურქებს ძირითადად

კანგალი ჰყავთ ხოლმე. პირველად ვხედავ, ძალღი და პატრონი ასე არ ჰგავდნენ ერთმანეთს.

უცბად ეს ნაქები ძალღი, მთელი თავისი პომპონებით, კონტინენტა-ლებითა და პასპორტებით, არყის ხის ძირას სულ სხვა ძალღის მოსაქმე-ბულს არ ყნოსავს?

– ჰამლეტ! – თურქი ცალი ხელით ძალღს საბელით ექაჩება, – ჰამლეტ!

აი, ჩვენ როგორები ვყოფილვართ. ძალღების სახელებად მარტო ჰამ-ლეტები და ლანსელოტები გვემეტება. ერთ ჩემს ნაცნობს ყმანვილკაცო-ბაში ტაქსა ჰყავდა, სახელად ნაბუქოდონოსორი, ბაბილონის მეფესავით. კაი ხნის შემდეგ იმ ნაცნობმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე საკუთარი თავი მეფედ გამოაცხადა. ეგებ თავისი ძალღის ხათრითაც? მე შემიძლია ვთქვა, რომ პირადად ვიცნობდი მეფეს. თუნდაც თვითმარქვიას. თუმ-ცა საამაყო ამაში არაფერია. მე ისეთი პატარა ქვეყნიდან ვარ, სადაც ძალღი და ღორი ერთმანეთს იცნობს. სამაგიეროდ, მე შემიძლია ვთქვა, რომ მეფესთან ერთად აკრძალული პრეპარატები მიმიღია. განა ბევრი დაიკვებნის ამით? ვახშამი მონარქთან, საუზმე იმპერატორთან, სადილი უფლისწულთან, ჩაის სმა დედოფალთან – თუნდაც გიჟური, სამხარი ხონთქართან, კიდევ ჰო, მაგრამ თვით მეფესთან ერთად შეშხაპუნებანი სინანულისანი ციმციმ ვარიკოზულ ვენაში? სწორედ ამ საქმეზე აღმოვჩნ-დით ერთხელ ლიტერატურული კაფის ცივ ტუალეტშიც, კოსტავაზე. რაღაც აზრით, ეს ლოგიკურიც იყო, სხვა თუ არაფერი, ჩვენ ლიტერა-ტურის ხალხი ვიყავით. დღემდე ვართ. ცოცხლებიც, მკვდრებიც. თან ეს ის სინანულებია, ნახევრადსინთეტიკური ტკივილსაყუჩები, მოხარშული ყაყაჩოს რძის ეფექტით. მარტო სახელიც კი დაგათრობს კაცს. ყ ა ყ ა ჩ ო ს რ ძ ე. თუმცა ვალიარებ, ამაშიც ბევრი არაფერია სატრახახო. ეგებ ბევრმა ეს ამბავი ბულვარული პრესის ღირს ცნობად ჩათვალოს, მე მაინც მგონია, რომ მეფეთა ყოველი ნაბიჯი, თუნდაც ტუალეტში გადადგმული, ავტომატურად უნდა იკავებდეს ისტორიის ანალებში ადგილს. ან ყვითე-ლი პრესა როდიდან აღარ გამოდგება ისტორიის მათიანედ?

ეგებ აქ ის მაინც გამოდგეს საამაყოდ, რომ საქართველოს უკანასკ-ნელ მეფეს ერთხელ მე წიგნი გამოვაცემინე? ჩვენი მეფენი ოდითგანვე წერდნენ გალობებს, ლექსებს, ოდებს, რომანსებს. რომანებსაც. აქვე ისიც საგულისხმოა, რომ ის გამომცემლობა ძირითადად ისტორიის სახელმძ-ღვანელოებსა და ძველ ბერძნულ მითებს გამოსცემდა. თავის დროზე იქ გამოიცა ერთი ჩემი ანტირომანიც და შემდეგ მეფის ვითომრომანიც. და პრინციპში ეს სწორიც იყო, ჩვენ ხომ ძველი ბერძნული მითებიდან მოვდივართ. კერძოდ, სამუდამოდ იქა ვართ.



ეგებ არცერთს ღერი თმა არ გვერხეოდა მოკვერცხილ თავებზე და ორთავეს ერთნაირი გვამშვენებდა უღვაშები, იერი მაინც სხვადასხვაგვარი გვექონდა. გვექონდა გვირგვინი ჩვენ რამით მსგავსი, ლამაზი შუქთა მარადი ნთებით? არამც და არამც. ვერც გვექნებოდა, უმარტივესი მიზეზის გამო: ის მეფე იყო, მე – სუპერკარგო, არარსებული ფლოტის მსახური.

ჩვენი მეფენი ისტორიულად სულ პოეტები ბრძანდებოდნენ. არც ეს ბოლო გახლდათ გამონაკლისი. ცოტა სხვაგვარი მეფე კი იყო. ისე მოკვდა (თან როგორ მოკვდა, მშვიდად შეცურდა სიკვდილში, როგორც მზეზე შემთბარი სელაპი ცივ ზღვაში), თავისი ცოლი დედოფლად არ უკურთხებია. ისიც დარჩა ასე, მეფის ქვრივის, ფაქტიურად, მოახლის სტატუსით. დაენანა? არ ჩათვალა ღირსად? ვერ მოასწრო? ვინ იცის, კიდევ აკურთხა, სადმე სამზარეულოში ან ლოჯიაში, მაგრამ ერმა და ბერმა არაფერი იცის ამის შესახებ, რადგან ის ცოლი მოკრძალებული ქალია და თავის დედოფლობას გულით დაატარებს?

რა ვიცი, მე კი მაკურთხა ერთხელ რაინდად, იმავე ლიტ-კაფის ტუალეტში. სანამ შევიშხაპუნებდით ვარიკოზულ ვენებში სინანულებს, პირდაპირ ვუთხარი, მონყალო, ეგებ აგეყვანე უცებ აქვე უფრო ამაღლებულ რანგში, ვიდრე ვარ-მეთქი. ისიც შემოდგა უნიტაზის თავსახურზე (რაკი ოდნავ მორჩილი იყო ტანით, მე კი იქ ვერ დავდგებოდი მუხლზე, სივინროვის გამოც და არც ბალიში გვექონდა სათანადო), დამადო სინანულით სავსე დგუშიანი ცილინდრის ღრუიანი თავი ჯერ მარჯვენა მხარზე ხმალივით, შემდეგ მარცხენაზე, და ბრძანა, მიკურთხებიხარო შენ, მწერალო, რაინდად ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდეო, ამინ. ეგებ ეს ამბავი დიდად არ გახმაურებულა. თუმცა მეფის სახელის უკვდავსაყოფად უნდა ითქვას ესეც. ისე, ეგებ არა ვარ მე ერთი ასეთი? ეგებ კიდევ დაიარებიან ქვეყნად სხვა ტუალეტის რაინდებიც? კიდევ უფრო ეგზოტიკურ ადგილებში ნაკურთხებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ჰოდა, თუ ასეა, თუ მე არა ვარ ამ ამბავში მარტო, სულ მარტო, ეგებ გვეპოვა ერთმანეთი, დაგველია ჩაი და ამოგვებერტყა ჩვენ-ჩვენი გულისნადები?

თურქი ცალი ხელით ისევე ექაჩება ჰამლეტს საბელით, მეორე ხელის არათითზე სტერლინგური ვერცხლის ბეჭედი უბრწყინავს. ელექტრო-სიგარეტს პირიდან არც იღებს, თითქოს ეს მისი პორტატული სუნთქვის აპარატია. გეგონება, ეს რომ არა, ადგილზე მოკვდებოდა. ნესტოებიდან სქელ, თეთრ კვამლს აფრქვევს, როგორც რაკეტა კოსმოსში გაფრენის წინ. არ გამიკვირდება, ახლა უცბად რომ აფრინდეს, ჰამლეტიანად.

სამი.

ორი.

ერთი.

საინტერესო კია, რა არის ამ პომპონებიან პუდელში დანიის უფლის-  
ნულისა. მერყეობა? ეჭვიანობა? რეფლექსიურობა? თუ შურისძიების  
აუტანელი სურვილი? ასეა თუ ისე, პატრონში უფრო მეტია რაღაც  
ფალსტაფისა, – ფორმებით მაინც, – ვიდრე ძალში ჰამლეტისა. საიდან-  
ღაც ზარების გუგუნი ისმის. თითქოს შუალამის ექო დაეფეთება ჰაერში.  
ეგებ შუალამის ზარები არაფერ შუაშია და მე მიგუგუნებს ყურებში?  
არომატიზებულ სუნს მეორე სართულზეც ვგრძნობ. კაცის არათითზე  
მბრწყინავი ბეჭედი რომ ნამდვილად სტერლინგური ვერცხლისაა, იქიდან  
ვიცი, რომ ასეთივეს, მთლად ამას თუ არა, გუშინ მეც მთავაზობდნენ  
შელავათიან ფასში.

დილით ზარი იყო სადარბაზოდან. ფოსტალიონი მეგონა, არ მიკითხავს,  
ვინ იყო, პირდაპირ გავაღე კარი. ყმანვილი იდგა, საკმაოდ სოლიდურად  
ჩაცმული, ლამის ბიჭუნა, ლაჟღაჟა ლოყებით, დიდ ცისფერ თვალებში  
ნაპერნკლით, სახეზე მორიდებული ღიმილითა და ერთობ მოულოდნელად,  
ხელში ტყავის დიპლომატით. დიდ დროს არ წაგართმევთ. შეგიძლიათ  
ორიოდ წუთი დამითმთო? გისმენთ. იცით ეს რა ბეჭედია? რამე განსა-  
კუთრებულია? ო, დიახ, სწორად შენიშნეთ, ეს მართლაც განსაკუთრე-  
ბული ბეჭედია, ბულგარისგან. რა საინტერესოა, როდის მერე დაინყო  
ბულგარიმ კარდაკარ სიარული? სულ ორიოდ თვეა. თუ ნებას მომცემთ,  
მოკლედ მოგახსენებდით ამ სამკაულზე, რომელიც ოდნავ უფრო მეტია,  
ვიდრე უბრალოდ სამკაული. ეს გახლავთ სპეციალური კამპანიის ნაწილი  
„გადავარჩინოთ ბავშვები“, რომელიც ბულგარიმ წელს წამოიწყო საქველ-  
მოქმედო ორგანიზაციასთან ერთად *Save the Children*. მერე რა ღირს  
ეგ სამკაულზე უფრო მეტი? ეს ბეჭედი დამზადებულია სტერლინგული  
ვერცხლისა და შავი კერამიკისგან და შთაგონებულია საიუველირო ხაზით  
*B.zero 1*. შიდაპირზე აზის საქველმოქმედო ორგანიზაციის ლოგოტიპი.  
ყველა გაყიდული ერთეულიდან შემოსული თანხის ნაწილით დაფინანს-  
დება პროგრამები, რომლებიც ზრუნავენ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე  
მსოფლიოში. დააკვირდით ამ ბრწყინვას? ეგებ გსმენიათ, რომ ასე მხ-  
ოლოდ ბულგარის პროდუქცია ბრწყინავს? ეს სპეციალური შენადნობია.  
კომპანიის საიტზე ამ ბეჭდის ფასია 530 ევრო, დღგ-ის ჩათვლით. 530?  
დიახ, დღეს კი თქვენ შეძლებთ მის შეძენას ექსკლუზიურად ოთხასიოდე  
ევროდ. თქვენ ასევე გადმოგეცემათ სპეციალური სერტიფიკატი. თქვენ  
როგორ ყველაფერი სპეციალური გაქვთ. როგორ ზუსტად შენიშნავთ